

სადოქტორო პროგრამა

სპეციალობა - სამართალმცოდნეობა

სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი; სისხლის სამართალი

აკადემიური ხარისხი - სამართლის დოქტორი

პროგრამის ხანგრძლივობა - 3 წელი ანუ 6 სემესტრი

კრედიტების რაოდენობა - 180 ECTS

მოცულობა:

ლექცია-სემინარები	- 30 კრედიტი; - 10 კრედიტი წელიწადში;
პედაგოგიური პრაქტიკა	- 18 კრედიტი - 6 კრედიტი წელიწადში;
კონფერენცია/პროექტები	- 12 კრედიტი - 4 კრედიტი წელიწადში;
პუბლიკაციები	- 12 კრედიტი; - 4 კრედიტი წელიწადში;
კვლევა/დისერტაცია	- 108 კრედიტი - 36 კრედიტი წელიწადში;

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს, რომლის მიზანია - სამართლის მეცნიერებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარება სამართლებრივი ასპექტების მეცნიერული დამუშავების გზით; პედაგოგიური და სხვა სახის სამეცნიერო-პროფესიული კადრის მომზადება, რომელიც სრულფასოვნად ფლობს სამეცნიერო კვლევით მეთოდოლოგიას, აქვს სამართლის სისტემის არსში წვდომისა და შესაბამის დარგში სიახლის დანერგვის უნარი.

სწავლის შედეგები იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის (სადოქტორო) გავლით მიღწეული მიზნების ჩამონათვალს.

დოქტორანტი პროგრამის გავლის შედეგად იძენს როგორც დარგობრივ, ასევე ზოგად უნარებსა და კომპეტენციებს. მოცემულ ეტაპზე ხდება როგორც ახალი უნარების შექმნა, ასევე იმ უნარების გაღრმავება, რომელიც დოქტორანტმა შეიძინა საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დონეზე.

1. დარგობრივი კომპეტენციები

ა) სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა

აქვს სპეციალიზაციის სფეროს სისტემური, ღრმა ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში.

ბ) ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა

იცნობს ეროვნული სამართლის სისტემას და მის ურთიერთკავშირს სამართლის სხვა სისტემებთან. ამასთან, აქვს ვიწრო სპეციალიზაციის სიღრმისეული ცოდნა, სადაც შეუძლია დასახოს განვითარების ახალი ხედვა, ჩამოაყალიბოს ახლებური მიდგომა.

გ) ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა

იცნობს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, გაცნობიერებული აქვს მათი მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს, იცნობს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

დ) სამართლის ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი

შესწევს უნარი, სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას. გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

ე) პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი

შესწევს უნარი, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

ვ) საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი

შესწევს უნარი, დაადგინოს ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა.

2. ზოგადი კომპეტენციები

ა) დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება

გათავისებულ აქვს თავისი პროფესიის არსი და დანიშნულება, აცნობიერებს დარგის სპეციფიკასა და მნიშვნელობას.

ბ) აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი

შესწევს უნარი, ადეკვატური მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად გააანალიზოს ახალი და განყენებული მონაცემები, დამუშავოს მიღებული ინფორმაცია და მოახდინოს მისი სინთეზი.

გ) პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი

ფლობს პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი არსის ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარება და ადეკვატური გზის შერჩევა. შესწევს შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

დ) მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი

შესწევს მშობლიურ და არანაკლებ ერთ უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოპოვებისა და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი, ასევე შეუძლია, ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ე) დროის დაგეგმვისა და მართვის (მენეჯმენტის) უნარი

შესწევს უნარი, რაციონალურად გამოიყენოს და გაანაწილოს დრო, რაც მოიცავს ისეთი ქმედებების ფართო სპექტრს, როგორებიცაა: დაგეგმვა, სამოქმედო მიზნების დასახვა, დახარჯული დროის ანალიზისა და მონიტორინგის საფუძველზე დროის შემდგომი გამოყენების მიმართულებების განსაზღვრა.

დარგობრივი კომპეტენციები

1	სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა: სადოქტორო პროგრამის გავლა იძლევა სპეციალიზაციის ცოდნის ყველაზე მაღალ დონეს, როდესაც დოქტორი არათუ სრულყოფილად ფლობს დარგში დაგროვილ ცოდნას, არამედ გვთავაზობს ახლებურ ხედვას, სახავს განვითარების ახალ გზებს და პერსპექტივებს
2	იურისტის პროფესიის ეთიკური ფარგლების ცოდნა და სოციალური პასუხისმგებლობის შეგნება: გათავისებული აქვს იურისტის პროფესიისათვის თანმდევი "შეზღუდვები", ითვალისწინებს საკუთარ ქმედებათა სოციალურ მნიშვნელობას და განსხვავებული შეხედულებებისა და მოსაზრებებისადმი იჩენს მოზომილ დამოკიდებულებას
3	სამართლის ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი: დაგროვილ ცოდნას იყენებს როგორც სამეცნიერო ასევე პედაგოგიურ საქმიანობაში
4	დებატებში ჩართვის, განსხვავებული აზრის გაგებისა და სამართლებრივი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი: შეუძლია თავისუფლად ჩაერთოს დებატებში, ჩამოაყალიბოს განსხვავებული პოზიცია (კრიტიკულად შეხედოს უკვე დამკვიდრებულ პოზიციას) და დაიცვას იგი. გამოიტანოს სწორი აზრი და გააკეთოს სწორი დასკვნა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების განხილვის შედეგად
5	კანონშემოქმედების, სამართლის განმარტებისა და გამოყენების პროცესში საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების უნარი: პრაქტიკულ თუ სამეცნიერო შრომაში ითვალისწინებს სხვადასხვა საზოგადოებრივ, რელიგიურ, მორალურ თუ ნაციონალურ ფაქტორებს. გადაწყვეტილებათა მიღებისას არის მოზომილი და სამართალგამოყენებისას იყენებს ნორმის განმარტების სხვადასხვა მეთოდებს
6	ინტერდისციპლინურ და იურისტთა გუნდში შედეგიანი პროფესიული მუშაობის უნარი: შეეძლება საქმიანობა როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდთან ერთად. მისი კომპეტენციები მას საშუალებას მისცემს იმუშაოს როგორც იურისტთა, ასევე ინტერდისციპლინურ გუნდში ისე, რომ შეინარჩუნოს მისთვის მისაღები პოზიცია სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე, ან გაითვალისწინოს სხვისი დასაბუთებული პოზიცია
7	კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირების უნარი: შეეძლება დროისა და რესურსების ნაკლები დანახარჯის პირობებში, კომპეტენტურად და მაქსიმალურად ეფექტურად გადაჭრას წამოჭრილი პრობლემა
8	შენიშვნების მიებისა და გათვალისწინების უნარი: მიუხედავად საკუთარი პოზიციის დასაბუთებულად დაცვის შესაძლებლობისა, ექნება კრიტიკული თუ კონსტრუქციული შენიშვნების გაზიარების და შენიშვნების მისაღებობის შემთხვევაში სწრაფი ადაპტირების უნარი
9	ფაქტებიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებისა და დასაბუთებული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უნარი: შეეძლება არსებული პრაქტიკის ანალიზი, განზოგადება, სამართლებრივად მნიშვნელოვან საკითხთა გამოცალკევება და საკუთარი აზრის არგუმენტირება კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში
10	კომპლექსური იურიდიული ნაშრომების ანალიზის, შეჯამებისა და დასკვნის გაკეთების უნარი: შეეძლება იურიდიულ ნაშრომთა განხილვა-ანალიზი და განსხვავებულ აზრთაგან მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული შეხედულების გამოყოფა და დაცვა. სამართლებრივ საკითხებზე უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებისაგან განსხვავებული, ორიგინალური ხედვის დასაბუთებული ჩამოყალიბება
11	დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული განვითარების უნარი: სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად გამოუმუშავდება პროფესიული ზრდისადმი მისწრაფების უნარი. სამართლის დოქტორს ექნება უკვე მიღწეულზე არგაგრების, სიახლეების მუდმივად ძიებისა და დარგში მიმდინარე ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტირების უნარი

ზოგადი კომპეტენციები

1	აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი:
---	---

	შეძლებს პრობლემური საკითხის განხილვას, როგორც განცალკევებით, ასევე სისტემური კვლევის ჩატარების გზით. მას ექნება პრაქტიკის განზოგადებისა და აბსტრაქტული აზროვნების უნარი
2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას სასწავლო-სამეცნიერო და სხვა პრაქტიკულ საქმიანობაში
3	მეორე (უცხოურ) ენაზე კომუნიკაციის უნარი: შეეძლება ერთ-ერთ უცხოურ ენაზე კომუნიკაცია, მათ შორის პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება.
4	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი: შეძლებს გამოიყენოს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამიზნულია ინფორმაციის მოპოვებისა თუ გადაცემისათვის
5	კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი: შეძლებს გაიაზროს საკუთარი შეცდომები და თვითკრიტიკის ფონზე მიაღწიოს სასურველ შედეგს
6	უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი: სიტუაციის სწრაფი და სწორი შეფასების მეშვეობით, შეძლებს უცხო გარემოში ადაპტირებას და სიტუაციურად სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას
7	ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა): სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, გამოიმუშავებს უკვე დამკვიდრებული მოსაზრებებისა და შეხედულებების კრიტიკული გაანალიზებისა და პრობლემურ საკითხებზე ორიგინალური ხედვის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარს
8	ადამიანების მოტივირებისა და საერთო მიზნებისკენ წარმართვის უნარი: ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის საშუალებით, შეეძლება საკუთარი აზრების მისაღები ფორმით ჩამოყალიბება, რის შედეგადაც იგი შეძლებს ადამიანთა დარწმუნებას საკუთარი პოზიციის სიმყარესა და სამართლიანობაში

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

პროგრამის მოთხოვნებიდან და დოქტორანტის პირადი გარემოებებიდან გამომდინარე, მას ეძლევა ორი შესაძლებლობა: პროგრამაში დარეგისტრირდეს სრული განაკვეთით – სწავლების 3 წელი, ნაწილობრივი განაკვეთით – სწავლების 6 წელი.

სადოქტორო პროგრამაზე მიღებიან არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები. დოქტორანტობის კანდიდატს, სადოქტორო პროგრამის დაწყებისას უკვე უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც. შესაძლოა ეს პუბლიკაცია იყოს მისივე სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. განსაკუთრებულ შემთხვევებს დაცვის საბჭო განიხილავს ინდივიდუალურად.

საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერთან განაცხადის შეტანის შემდეგ, დოქტორანტი ორი კვირის განმავლობაში უნდა დარეგისტრირდეს პროგრამაზე და, შესაბამისად, გადაიხადოს პროგრამის ღირებულების მესამედი, ანუ ერთი წლის სწავლის საფასური.

დოქტორანტის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი მასთან აფორმებს ხელშეკრულებას.

აკადემიური ხარისხის მიწოდების მოთხოვნა:

აკადემიური ხარისხის მისანიჭება ხდება დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის სრულად ამოწურვის შემდეგ, კერძოდ თუ:

დოქტორანტმა დააგროვა ინდივიდუალურ ლექცია-სემინარებში 30 ECTS;

სადოქტორო პროგრამით სწავლის I წლის დასრულებისას წარმოადგინა GMAT /GRE-ის საერთაშორისო სერთიფიკატი;

მონაწილეობა მიიღო სუ-ში 3 კურსის წარმართვაში (უმადლეს პროფესიულ ან/და საბაკალავრო პროგრამაში), რითაც დააგროვა 18 ECTS;

გამოაქვეყნა სულ მცირე 5 სამეცნიერო ნაშრომი, სკოლის მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო ხასიათის ჟურნალებში, თუ კრებულებში;

მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 3 კონფერენციაში (აქედან 2 საერთაშორისო ხასიათის);

წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

სადოქტორო დისერტაციის დაცვა ჩამოთვლილი კომპონენტებიდან დისერტანტისათვის შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ დიპლომის გაცემა ხდება მხოლოდ ყველა კომპონენტის შესრულების შემდეგ.

თუ დისერტანტს დამთავრებული აქვს სრული პროგრამა და მიღებული შესაბამისი კრედიტები, მაშინ დიპლომის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

სასწავლო დროისა და კრედიტების განაწილება დოქტორანტურაში

აქ მოყვანილია სალექციო დროის განაწილების ზოგადსაუნივერსიტეტო მოდელი, რომელიც ასახავს აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტის პოლიტიკას. ლექტორს, რა თქმა უნდა, აქვს სრული თავისუფლება თითოეული ლექციისათვის თვითონ განსაზღვროს ლექციის სხვადასხვა ნაწილების (ჩათვლა, დისკუსია, ლექციის თეორიული ნაწილი) მოცულობა და ხანგრძლივობა.

დოქტორანტის დატვირთვა		წლის თვეები													კრედ/სთ. ECTS
		09	10	11	12	01		02	03	04	05	06	07/08		
		31-14		15-31											
1	ლექცია/სემინარი	3	3	3	3		3	3	3	3	3	3		10კრ/წ.×3=30	
2	პედაგოგიური პრაქტიკა.(სემინარი, ლექცია, პრაქტიკული)	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	6კრ/წ×3=18	
3.	კონფერენც/პროექტ.Mშონაწილეობა	წელიწადში *1 კონფერენცია მაინც											4კრ/წ×3=12		
4.	პუბლიკაციები	წელიწადში*2 სტატია მაინც, ანუ სულ 6; ან 2 სტატია და 1 მონოგრაფია											4კრ/წ×3=12		
5.	კვლევა/დისერტაცია	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	36კრ/წ×3=108	
	სულ												180		

სადოქტორო დისერტაციის კრედიტები და მოდულები

სადოქტორო ნაშრომის მომზადება-დაცვა - 108 ECTS.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება რთული პროცესია, რომელიც ზოგადად მეცნიერული უნარ-ჩვევების განვითარების გარდა, საკვლევი სფეროსა და დარგის მიმართულებით პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებას მოითხოვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით აღნიშნულ ნაწილში სადოქტორო პროგრამა სამ მოდულად იყოფა: 1. მეცნიერული სრულყოფის მოდული; 2 პროფესიული სრულყოფის მოდული; 3. დისერტაციის მოდული.

კვლევისა და დისერტაციისათვის განკუთვნილი 108 კრედიტი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

კვლევა და დისერტაცია		კურსის I/Q	ECTS კრ/სთ	განაწილება სემესტრებად					
				1	2	3	4	5	6
მეცნიერული სრულყოფის მოდული კვლევები და რეფერატები									
1.	ნარკვევი - კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები	2	12	12					
2.	ნარკვევი – ადამიანთმცოდნეობაში	2	12	6	6				
3.	ნარკვევი - საზოგადოებათმცოდნეობაში	2	12		12				
4.	ნარკვევი - სოციალურ ინსტიტუტებსა და სისტემებში	2	12			12			
პროფესიული სრულყოფის მოდული									
1	საკითხი I (სემინარი დისერტაციის მომიჯნავე დისციპლინაში)	1	6				6		
2	საკითხი II (ენობრივი მოდული)	1	6				6		
3	საკითხი III (სადისერტაციო მოდული)	1	6				6		
4	საკითხი IV (სადისერტაციო მოდული)	1	6					6	
დისერტაციის მოდული									
1.	დისერტაციის დაგეგმვა და წერა	1	6				6		
2	დისერტაციის დაცვა	5	30					12	18
სულ		30	108	18	18	18	18	18	18

I. მეცნიერული სრულყოფის მოდული. აღნიშნული მოდულით დოქტორანტმა მეცნიერულად უნდა შეისწავლოს საკითხები და დაწეროს მაღალკვალიფიციური ნარკვევები შემდეგ მიმართულებებში: კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები, ადამიანთმცოდნეობა, საზოგადოებათმცოდნეობა, სოციალური ინსტიტუტები და სისტემები.

კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები

კვლევის აღნიშნული ეტაპი მოიცავს სხვადასხვა მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, როგორც მეცნიერების ზოგადი თეორიაში, ასევე იურისპრუდენციაში. დისერტანდის ნაშრომში ასახული უნდა იყოს ზოგადად კვლევის სხვადასხვა მეთოდი და გამოიყოს ის მეთოდები რომელსაც ის გამოიყენებს საკუთარი სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას.

ადამიანთმცოდნეობა

მოცემულ მოდულში დისერტანდი განიხილავს ადამიანის სამართლებრივ სტატუსს, მისი როგორც სამართლის სუბიექტის ნიშნებს, ადამიანის სამართალსუბიექტურობას სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში.

საზოგადოებათმცოდნეობა

დისერტანტის ნაშრომი შეეხება სამართლის როლს საზოგადოების განვითარებაზე, განიხილავს საზოგადოების განვითარების ისტორიულ ეტაპებს და მასთან ერთად სამართლის განვითარებას.

მკვლევარმა უნდა გააცნობიეროს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ და კულტურულ ცვლილებათა პროცესის თავისებურებები. მკვლევარმა კრიტიკულად უნდა შეაფასოს საზოგადოებრივ ცვლილებათა თეორიის ლოკალური და გლობალური ზეგავლენა საზოგადოებაზე. თეორიული ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მიმდინარე სიღრმისეული კვლევისათვის. ამ ტიპის ცოდნა მოიცავს განსჯასა და კრიტიკულ შეფასებას, მაკრო და მიკრო პარადიგმებს, თეორიებს, ხედვასა და პერსპექტივას, ფუძემდებლური ცნებების იდენტიფიცირებას.

სოციალური ინსტიტუტები და სისტემები:

სოციალური სისტემების თეორია გვთავაზობს პრობლემის მთლიანობაში ხედვის მოძებნას.

აზროვნების ეს ფორმა ახდენს პრობლემის სეგმენტაციას, შემდგომ კი ცალკეულ სეგმენტები მოჰყავს სისტემაში და შეისწავლის სეგმენტთა შორის არსებულ მიმართებათა ტიპებს. სისტემების თეორია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების სწორედ იმ მოდელს, რომლის გამოყენებაც ევალუა დოქტორანტს კვლევის პროცესში. სისტემათა თეორია აღრმავებს დოქტორანტის ცოდნას სამყაროს, ხალხის, ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების შესახებ. ეს თეორია გვთავაზობს იმ საფუძვლების შესწავლას, რომელიც ეხმარება მკვლევარს, დაინახოს საზოგადოება, როგორც ურთიერთდამოკიდებულ ქვესისტემათა მთლიანობა.

II. პროფესიული სრულყოფის მოდული.

დოქტორანტმა მისი საკვლევი სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა შეისწავლოს ოთხი ისეთი პროფესიულ-სპეციფიკური საკითხი რომელიც სავალდებულოა მისი კვლევის სრულყოფილად წარმართვისათვის.

სემინარი დისერტაციის მომიჯნავე დისციპლინაში

დისერტანტის ნაშრომი სადისერტაციო ნაშრომის მომიჯნავე დისციპლინაში, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ პრობლემური საკითხის კრიტიკულ ანალიზსა და ავტორისეულ დასკვნებს. თემატიკის შერჩევა მოხდება სადისერტაციო საბჭოს მიერ

ენობრივი მოდული

დისერტანტის ნაშრომი, რომლის დანიშნულებაც დისერტანტის მიერ ერთ-ერთი სამეცნიერო უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული) დაუფლება დისერტაციაში გამოსაყენებელი უცხოურენოვანი ლიტერატურისა და სტატიების დამუშავების მიზნით. დისერტანტმა უნდა დაამუშაოს სადისერტაციო საბჭოს მიერ შერჩეული უცხოურენოვანი ტექსტი.

სადისერტაციო მოდული

სადისერტაციო მოდული წარმოადგენს დისერტაციის განუყოფელ ნაწილს (დისერტაციის თავი ან ქვეთავი), რომლის დანიშნულებაც სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული ღირებულების წინასწარი შეფასება.

მოდულის მოცულობა

როგორც მეცნიერული სრულყოფის მოდული ასევე პროფესიული სრულყოფის მოდულის თითოეულის თითოეული ნაწილი უნდა შედგებოდეს APA-ის სახელმძღვანელოს სტილში, ორბწკარიანი შუალედით დაწერილი 30/40 გვერდისაგან.

III. დისერტაციის მოდული:

მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის დაწერასა და მის საჯარო დაცვას